

საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის ბრძანება №1-1/23

2008 წლის 10 იანვარი

ქ. თბილისი

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებულ საგზაო სამუშაოთა (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესების, პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დახვეწის, სრულყოფისა და მისი განვითარების მიზნით, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ“ თანდართული დებულება.

2. დაევალოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (რ. დალაქიშვილი) უზრუნველყოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. არველაძე

შეტანილია ცვლილებები:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 23 იანვრის ბრძანება №1-1/77 - სსმ III, 26.01.2009, №10, მუხ.103

დებულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება შემუშავებულია „საავტომობილო გზების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საქართველოს კანონების საფუძველზე და იგი არეგულირებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების ორგანიზების წესსა და პირობებს.

2. დებულების მიზანს წარმოადგენს დეტალურად აღწეროს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების პროცესი.

3. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).

4. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება იმ დასრულებული საგზაო სამუშაოებისა და ობიექტების მიღებაზე, რომელთა მიღების წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.

მუხლი 2. დებულებაში გამოყენებული ცნებები და ტერმინები

1. შემსრულებელი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად, დეპარტამენტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საგზაო სამუშაოების შესრულების შესახებ.

2. საზედამხედველო ორგანიზაცია – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დეპარტამენტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და მის საფუძველზე ახორციელებს ზედამხედველობას საგზაო სამუშაოების შესრულებაზე.

3. დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისია – ამ დებულებით დადგენილი წესით დეპარტამენტის მიერ შექმნილი არამუდმივმოქმედი კომისია, რომელიც იქმნება კონკრეტული დასრულებული საგზაო სამუშაოს მისაღებად და საქმიანობას წყვეტს ამ ობიექტის მიღებისთანავე.

4. საგზაო სამუშაო – „სავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტებზე სარეაბილიტაციო, პერიოდული შეკეთების, მოვლა-შენახვის, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული სამუშაოები.

5. საბოლოო ანგარიში – საგზაო სამუშაოების სრულად დამთავრების შემდეგ, შემსრულებლისა და საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ დოკუმენტთა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სრულ და დაწვრილებით ინფორმაციას დასრულებული ობიექტის შესახებ.

6. სამუშაოების დასრულების შესაბამისობის სერტიფიკატი – საგზაო სამუშაოების სრულად დამთავრების შემდეგ, საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ სამუშაოების დასრულების წერილობითი დასტური, რომელიც წარედგინება დეპარტამენტს.

7. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი – საგზაო სამუშაოების შესრულების მეთოდების, ცალკეული სახეობების დაწყება-დამთავრების, მათი მოცულობების, წარმოების პირობების, საზედამხედველო ორგანიზაციის შენიშვნების და მათი გამოსწორების, ხარისხისა და მათი საერთო მდგომარეობის სისტემატური აღწერა (დანართი №1).

8. ფარული სამუშაოების აქტი – საგზაო სამუშაოების მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე საპროექტო მოთხოვნების შესაბამისად შესრულებული ფარული სამუშაოების დადასტურება, ტექნოლოგიური ციკლის მომდევნო ეტაპის სამუშაოების ჩატარების გაგრძელების მოთხოვნით (დანართი №2).

9. რეცეპტი ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის მომზადებაზე – საგზაო მშენებლობაზე გამოყენებული ასფალტბეტონის ნარევის დაპროექტებული შემადგენლობა, 1ტ/1მ³ ნარევის მოსამზადებლად საჭირო კომპონენტები და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები, მისი შესაბამისობა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან.

10. გამოყენებული სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდების ოქმი – საგზაო მშენებლობაში გამოყენებული მასალების ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური მახასიათებლების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

11. ასფალტბეტონის ნარევის დაგების ჟურნალი – დოკუმენტი, რომელშიც ასახულია სამუშაოს დასახელება, მოცულობები, ფენილის კონსტრუქცია, დაგების და დატკეპნის ტექნოლოგია, კლიმატური პირობები და მდგომარეობის პერიოდული აღწერა (დანართი №3).

12. ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის ნარევის, ასევე საფარიდან ამოღებული ნიმუშების ლაბორატორიული დასკვნა – დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის ნარევის, ასევე საფარიდან ამოღებული ნიმუშების ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური მაჩვენებლები, მათი შესაბამისობა მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებთან.

13. შესაბამისობის სერტიფიკატი (პასპორტი) ქარხნული წესით დამზადებულ კონსტრუქციაზე – ქარხანა ან დამამზადებლის მიერ გაცემული კონსტრუქციის მახასიათებელი მაჩვენებლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

14. მიწის ვაკისის დატკეპნის საკონტროლო ჟურნალი – დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მიწის ვაკისის მოწყობის ტექნოლოგიური აღწერა – საპროექტო სიმაღლეების, ადგილმდებარეობის, ფენის სიმაღლის, დასატკეპნი ფენის სისქის, გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, სატკეპნი მანქანა-მექანიზმების ტიპების მინიშნებით (დანართი №4).

15. შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების ბარათი – დეპარტამენტსა და შემსრულებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით გათვალისწინებული შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების დოკუმენტი, რომელსაც ადგენენ და ხელის მოწერით ადასტურებენ შემსრულებელი და საზედამხედველო ორგანიზაცია ერთობლივად, რის მიხედვითაც დეპარტამენტი (სხვა თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე) ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან (დანართი №5).

16. თვე, კვირა – კალენდარული თვე, კალენდარული კვირა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 23 იანვრის ბრძანება №1-1/77 - სსმ III, 26.01.2009, №10, მუხ.103

მუხლი 3. დასრულებული საგზაო სამუშაოების კატეგორიები

დასრულებული საგზაო სამუშაოები და ობიექტები, თავისი სირთულისა და დანიშნულების მიხედვით, იყოფა ქვემოთ მითითებულ შემდეგ კატეგორიებად, რაც აისახება დეპარტამენტს, შემსრულებელსა და საზედამხედველო ორგანიზაციას შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებებში:

ა) პირველი კატეგორია – სარეაბილიტაციო და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული სამუშაოები, რომლებიც საჭიროებენ სრულ (დეტალურ) კვლევა-ძიებას (გეოდეზიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური) და გამოირჩევიან რთული საინჟინრო ნაგებობებითა და კონსტრუქციებით;

ბ) მეორე კატეგორია – პერიოდული შეკეთების, სარეაბილიტაციო და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული სამუშაოები, რომლებიც არ საჭიროებენ ან საჭიროებენ არასრულ კვლევა-ძიებას (გეოდეზიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური) და არ გამოირჩევიან რთული საინჟინრო ნაგებობებითა და კონსტრუქციებით;

გ) მესამე კატეგორია – მიმდინარე შეკეთების (მათ შორის, ზამთრის შენახვის) სამუშაოები, რომლებიც სრულდება რეგულარულად და გამოირჩევა მცირე მოცულობებით.

მუხლი 4. დასრულებული საგზაო სამუშაოების მისაღებად სავალდებულო დოკუმენტაცია და მისი წარმოდგენის პროცედურები

1. საგზაო სამუშაოების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი კალენდარული კვირის ვადაში შემსრულებელი მიმართავს საზედამხედველო ორგანიზაციას დასრულებული ობიექტების მისაღებად და წარუდგენს მას დასრულებული საგზაო სამუშაოების საბოლოო ანგარიშს.

2. საბოლოო ანგარიში მოიცავს:

ა) ინფორმაციას ობიექტის სრული დასახელების შესახებ, ობიექტის ზოგადი მიმოხილვითა და ძირითადი მახასიათებელი მაჩვენებლების მითითებით;

ბ) სამუშაოთა წარმოების ჟურნალს;

გ) ფარული სამუშაოების აქტს;

დ) რეცეპტს ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის მომზადებაზე;

ე) გამოყენებული სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდის დასკვნას;

ვ) ასფალტბეტონის ნარევის დაგების ჟურნალს;

ზ) ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის ნარევის, ასევე საფარიდან ამოღებული ნიმუშების ლაბორატორიულ დასკვნას;

თ) შესაბამისობის სერტიფიკატებს (პასპორტებს) ქარხნული წესით დამზადებულ კონსტრუქციებზე;

ი) მიწის ვაკისის დატკეპნის საკონტროლო ჟურნალს;

კ) პროექტით გათვალისწინებული უკან დასაბრუნებელი ფაქტობრივად არსებული მასალების მიღება-ჩაბარების აქტს.

3. საზედამხედველო ორგანიზაცია შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის შესწავლის შემდეგ ადგილზე შეისწავლის წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისობას შესრულებულ საგზაო სამუშაოებთან.

4. საზედამხედველო ორგანიზაცია, მის მიერ საგზაო სამუშაოების დასრულების დადასტურების შემთხვევაში, არა უგვიანეს ერთი თვისა დეპარტამენტს წარუდგენს სამუშაოების დასრულების შესაბამისობის სერტიფიკატს დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების მოთხოვნით და შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების ბარათს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის (სრული ან შესაძლოა ნაწილობრივი) ანაზღაურების მოთხოვნას.

5. საგზაო სამუშაოების მისაღებად წარდგენილი დოკუმენტების სისწორისათვის შემსრულებელი და საზედამხედველო ორგანიზაცია აგებს პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. პირველი კატეგორიის დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღება

1. პირველი კატეგორიის დასრულებული საგზაო სამუშაოების მისაღებად დეპარტამენტი ქმნის დასრულებული სამუშაოების მიმღებ კომისიას.

2. დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ დეპარტამენტის, შემსრულებლისა და საზედამხედველო ორგანიზაციის წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში – მოწვეული სპეციალისტები და ექსპერტები, ასევე კომისიის მუშაობაში, როგორც წესი, მონაწილეობას იღებს საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

3. არავის არ აქვს უფლება მოახდინოს კომისიაზე რაიმე ზეგავლენა ან ჩაერიოს მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან. კომისიის წევრების მაქსიმალური ზღვარი არ არის შეზღუდული.

5 კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

6. კომისია დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

7. კომისიის წევრები თავის ხმას ადასტურებენ აქტში ხელის მოწერით.

8. კომისიის ყოველი წევრი თავის განსხვავებულ აზრს აფიქსირებს აქტში წერილობითი ფორმითა და დეტალური დასაბუთებით.

9. ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე სარგებლობს უპირატესი ხმის უფლებით.

10. კომისია თავის გადაწყვეტილებას აფორმებს აქტით.

11. პირველი კატეგორიის დასრულებული საგზაო სამუშაოების მისაღებად საზედამხედველო ორგანიზაცია შემსრულებელთან ერთად დეპარტამენტს წარუდგენს ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სრულ დოკუმენტაციას, ობიექტის ზოგადი გეოლოგიური მიმოხილვის თანდართვით.

12. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური შესწავლისა და ანალიზის შედეგად, ადგილზე ობიექტის დათვალიერების საფუძველზე, დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისია აქტში ადგენს და ასახავს:

ა) შესრულებულ სამუშაოთა პროექტთან შესაბამისობას;

ბ) საბოლოო ანგარიშით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და რეალურად შესრულებულ სამუშაოთა შესაბამისობას;

გ) შესრულებულ სამუშაოთა შესაბამისობას მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან მიმართებაში, შესაბამისად ხარისხთან დაკავშირებით შესაძლო შენიშვნების ასახვით;

დ) ფაქტობრივად შესრულებულ საგზაო სამუშაოთა ღირებულებისა და დასრულებული ობიექტის საერთო ღირებულებას;

ე) პროექტით გათვალისწინებული უკან დასაბრუნებული და ფაქტობრივად არსებული (დაბრუნებული) სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების ოდენობის შესაბამისობას.

13. კომისია, მისი შექმნიდან ორი კალენდარული კვირის განმავლობაში, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დასრულებული ობიექტის მიღების შესახებ ან შემსრულებელს მისცეს ერთთვიანი ვადა (ხარვეზების არსებობის შემთხვევაში) დასრულებულ ობიექტზე ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

14. ობიექტზე ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, დეფექტების გამოსწორების მიზნით, სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური პირობების გათვალისწინებით აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების ვადა კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელებულ იქნეს კიდევ ორი თვით.

მუხლი 6. მეორე კატეგორიის დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღება

1. მეორე კატეგორიის დასრულებული საგზაო სამუშაოების მისაღებად საზედამხედველო ორგანიზაცია შემსრულებელთან ერთად დეპარტამენტს წარუდგენს ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სრულ დოკუმენტაციას, საჭიროების შემთხვევაში ზოგადი გეოლოგიური მიმოხილვის თანდართვით, ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური შესწავლისა და ანალიზის შედეგად, ადგილზე ობიექტის დათვალიერების საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებითა და ნდობით აღჭურვილი პირი(ები) ორი კვირის განმავლობაში ვალდებულია დეპარტამენტის ხელმძღვანელობას წარუდგინოს დასკვნა დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების ან/და ხარვეზის (ხარვეზის არსებობის შემთხვევაში) არსებობის შესახებ.

3. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, დეპარტამენტის მიერ იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ხარვეზების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ შემსრულებელს მისცემს გონივრულ ვადას მათი გამოსწორებისათვის, ხოლო გამოსწორების შემდგომ მიიღებს დასრულებულ საგზაო სამუშაოებს ამ დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. მესამე კატეგორიის დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღება

1. მესამე კატეგორიის დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღებას ახორციელებს დეპარტამენტი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით.

2. მესამე კატეგორიის საგზაო სამუშაოების მიღების მიზნით, დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ადგილზე ობიექტის დათვალიერების საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დასრულებული საგზაო სამუშაოს მიღების შესახებ.

3. დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების შემდეგ სამუშაოს მიმღები დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას წარუდგენს დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების აქტს, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნეს სამუშაოების შემსრულებლის ბეჭდითა და სამუშაოების მიმღები სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილ პირთა ხელმოწერით. დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების აქტში აგრეთვე უნდა მიეთითოს დასრულებული საგზაო სამუშაოს სრული დასახელება და ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა, სამუშაოს მოცულობა და ღირებულება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 23 იანვრის ბრძანება №1-1/77 - სსმ III, 26.01.2009, №10, მუხ.103

დანართი №1

(შემსრულებელი ორგანიზაციის დასახელება)

სამუშაოების წარმოების ჟურნალი №

(საავტომობილო გზა, კმ,პკ, ობიექტის დასახელება, ნაგებობის დასახელება)

სამუშაოს დასაწყისი "... "..... 20 წ.

შემსყიდველი: საავტომობილო გზების დეპარტამენტი

მიმწოდებელი: _____

ხელშეკრულება № "...."..... 20 წ.

ჟურნალი დაიწყო "... "..... 20 წ.

ჟურნალი დასრულდა

".."...... 20 წ.

უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი

(საზედამხედველო ორგანიზაციის დასახელება (ტექნიკური ზედამხედველის გვარი))

ობიექტზე ჩატარებული სამუშაოების თანმიმდევრობა

თარი- ღი	სამუშაოთა წარმოების მოკლე აღწერა და შესრულებული სამუშაოს ფიზიკური მოცულობა, სამუშაოთა წარმოების პირობები, ტექნიკური ხასიათის შემთხვევები	განზომილება	შესრულებული სამუშაოების რაოდენობა	სამუშაოს ხელმძღვანელი, გვარი და ხელმოწერა	ჰაერის ტემპერატურა	შემმოწმებელ პირთა შენიშვნები, აგრეთვე დეპარტამენტის ხელმძღვანელ მუშაკთა შენიშვნები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ მოსული მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და საერთო მდგომარეობის შესამოწმებლად	აღნიშვნა შენიშვნის მიღებისა და მისი შესრულების შესახებ	შენიშვნა

(კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება)

(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა, კმ, პკ)

ფარული სამუშაოების აქტი №

(სამუშაოს დასახელება)

„—“ ————— 20—წ.

განხორციელებულ იქნა შესრულებული სამუშაოს დათვალიერება _____

(სამუშაოს დასახელება, რომელზედაც უნდა იქნეს შედგენილი აქტი)

(საავტომობილო გზის ან მონაკვეთის დასახელება)

შემოწმების დროს დადგენილ იქნა:

1. _____

(შესრულებული კონსტრუქციის აღწერა)

2. _____

(გამოყენებული სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების დასახელება)

3. _____

(მოქმედ სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობა)

4. _____

(მუშა ნახაზებთან შესაბამისობა ან განსხვავება)

ნება ეძლევათ აწარმოონ შემდგომი სამუშაოები

(შემდგომი სამუშაოების დასახელება)

საზედამხედველო ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი _____

(ხელის მოწერა)

შემსრულებლის პასუხისმგებელი პირი _____

(ხელის მოწერა)

(კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება)

(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა, კმ, პკ)

ასფალტბეტონის ნარევის დაგების

ჟურნალი №

თვე და რიცხვი	მ. შ. ა. ვ. ბ. ი. ს. ვ. ჯ. რ. ვ.	მუშაობის ადგილი				შესრულებული სამუშაო		ნარევის ხარჯი ტონა		დატკეპნა		ტემპერატურა		ამინდის მდგომარეობა	შემსრულებლის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	საზედამხედველო ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
		საწყისი		ბოლო		სამუშაოს დასახელება	გრძობი/კვადრატული მეტრი	ქვედა ფენა	ზედა ფენა	მომუშავე სატკეპნის სახეობა	ჰაერის	ნარევის				
		კმ	პკ	კმ	პკ											

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დანართი №4

(კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება)

(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა, კმ, პკ)

ასფალტბეტონის საფარიდან ამოჭრილი
ნიმუშების შერჩევისა და გამოცდის ჟურნალი №

რ ნ	ნიმუშის ნომერი	ამონაჭერის ალების ადგილი			თარიღი		ასფალტბეტონის შემადგენლობის ნომერი, ტიპი	ფენების სისქე		შეჭიდულობა ქვედა ფენასთან ან საფუძველთან	რამდენი გრძ.მ ან მ ² საფარი ხასიათდება ნიმუშებით	ამონაჭრების გაგზავნის თარიღი ლაბორატორიული გამოცდის სათვის	გამოცდის შედეგები აკმაყოფილებს თუ არა სტანდარტების მოთხოვნებს	ლაბორატორია	შენიშვნა	
		გზის დასახელება	კმ	პკ	ასფალტბეტონის დაგების	ამონაჭრების ნიმუშების ალების		ქვედა ფენის	ზედა ფენის							

შემსრულებელი ორგანიზაციის დასახელება

(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა კმ პკ

მიწის ვაკისის დატკეპნის საკონტროლო ჟურნალი №

რიდი	ყრილის საპროექტო სიმაღლე მ	გრუნტის სინჯის აღების ადგილი			დატკეპნილი ფენის სისქე მ	ნიმუშის ლაბორატორიული გამოცდის შედეგები (დასკვნა)	გამოყენებული სატკეპნი მანქანების სახეობები	შემსრულებლის ლაბორანტის ხელის მოწერა	შენიშვნა
		კმ, პკ, პლუსი	მანძილი ყრილის ღერძიდან მარჯვნივ (+) ან მარცხნივ (-) მ-ში	ფენის სისქე მიწის ზედაპირიდან, მ					

შენიშვნა: ჟურნალის წარმოება ისე უნდა ხდებოდეს, რომ გრუნტის სიმკვრივის გამოცდის შედეგები თითოეულ პიკეტზე და პლუსზე უნდა იყოს თავმოყრილი ერთ ადგილას, გამოცდის ჩატარების დროის მიუხედავად

შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების ბარათი №-----

ხელშეკრულების №, თარიღი და საგანი

შემსყიდველი:

საკონტრაქტო თანხა ლარი

მიმწოდებელი:

საავანსო თანხა (A *) ლარი

გადახდა ნებადართულია:

შემსყიდველის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

(შემსყიდველი ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე)

შემსყიდველის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

(შემსყიდველი ორგანიზაციის ეკონომიკური და/ან ფინანსური სამსახურის უფროსი)

„-----“ ----- 20 წელი

„-----“ ----- 20 წელი

№	ხარჯებისა და მონაცემების ჩამონათვალი	სამუშაოების დაწყებიდან საანგარიშო თვის ჩათვლით	საანგარიშო თვეში	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	შესრულებული სამუშაოს ღირებულება დღგ-ის გარეშე			
2	დამატებული ღირებულების გადასახადი			
3	შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულება დღგ-ის ჩათვლით			
4	(X%) – შესრულებული სამუშაოს ღირებულების პროცენტული შეფარდება კონტრაქტის საწყის ღირებულებასთან, რაც უნდა იყოს: 20 < x < 70			
5	(Y%) – არის (X%) წინა საანგარიშო პერიოდისათვის, რაც უნდა იყოს: (Y%) > 20			
6	დასაკავებელი ავანსის თანხა: $A_x \frac{X\% - Y\%}{(70 - 20)}$			
7	შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისათვის 5%-იანი დაკავება			
8	ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისათვის 5%-იანი დაკავებული თანხის დაბრუნება **			
9	ასანაზღაურებელი თანხა (სტრ3-სტრ6-სტრ7+სტრ8)			

A* არის საავანსო თანხა

* ხარისხის დაცვის 5%-იანი დაკავება არ ვრცელდება მოვლა-შენახვისა და ზამთრის შენახვის სამუშაოებზე

** თანხის დაბრუნება ხდება სამუშაოების დასრულებისა და კომისიის მიერ მიღების შემდეგ ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

საზედამხედველო ორგანიზაციის დასახელება

შემსრულებელი ორგანიზაციის დასახელება

ხელმოწერა თარიღი

ხელმოწერა თარიღი